

## ს ა რ ჩ ე ვ ი

1. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურება თავშესაფრებითა და სხვა სერვისებით გვ. 3
2. ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურება თავშესაფრებითა და სხვა სერვისებით გვ. 5
3. ხანდაზმულთა პანსიონატები (თბილისი/ქუთაისი) გვ. 7
4. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები გვ. 10
5. თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლი გვ. 16
6. თბილისის ბავშვთა კრიზისული ცენტრი გვ. 18
7. საზოგადოებრივი/სოციალური აქტივობები გვ. 19
8. სარემონტო და სარეაბილიტაციო სამუშაოები გვ. 23
9. ფილიალების ლიკვიდაცია გვ. 24
10. შესყიდვები და ფინანსური ანგარიში გვ. 25

## სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის“ 2013 წლის ანგარიში

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი შეიქმნა 2006 წელს, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე, ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვის, დახმარების და რეაბილიტაციის მიზნით.

2009 წლიდან სახელმწიფო ფონდის საქმიანობას ემატება ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება და ინტერესების დაცვა.

2013 წლის 1 იანვრიდან, სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს რეორგანიზაციის შემდეგ, სახელმწიფო ფონდის ფუნქციებსა და საქმიანობას ემატება მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა დაცვა, ხანდაზმულთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დაცვა და დახმარება.

2013 წლიდან ფონდის საქმიანობის სფეროები მრავალფეროვანი ხდება:

- ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დახმარება და მათი კანონიერი ინტერესების დაცვა;
- ტრეფიკინგის მსხვერპლთა თავშესაფრებით, იურიდიული, ფსიქოლოგიური, სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა; რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში სრული რეინტეგრაციის ხელშეწყობა;
- ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვა და დახმარება; ოჯახსა და საზოგადოებაში სრული რეინტეგრაციის ხელშეწყობა;
- შეზღუდული შესაძლებლობის პირთათვის, ხანდაზმულთა და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთათვის ოჯახურ გარემოსთან მიახლოებული ცხოვრების პირობების შექმნა; დღისა და სადღეღამისო მომსახურების ფარგლებში მოვლა-პატრონობა, კვება, პირველადი სამედიცინო მომსახურება, სამკურნალო-სარეაბილიტაციო ღონისძიებების გატარება;
- სექსუალური ხასიათის ძალადობის მსხვერპლთა რეაბილიტაცია და დახმარება.

2013 წლის 1 დეკემბრის მონაცემებით ფონდი მომსახურებას უწევს 10 ფილიალს და 5 თავშესაფარს:

- ა) ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა თავშესაფრები ქ. თბილისსა და ქ. ბათუმში;
- ბ) ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრები ქ. თბილისში, ქ. გორსა და ქ. ქუთაისში;
- გ) ხანდაზმულთა პანსიონატები ქ. თბილისსა და ქ. ქუთაისში;
- დ) ჩვილ ბავშვთა სახლი ქ. თბილისში;
- ე) ბავშვთა კრიზისული ცენტრი ქ. თბილისში;
- ვ) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა სახლები კოჯორსა და სენაკში;
- ზ) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პანსიონატები დუშეთში, მარტყოფსა და ძევერში;
- ი) კოჯორის ბავშვთა სახლი.

## 1. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურება თავშესაფრებითა და სხვა სერვისებით

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების თავშესაფრების მიზანია მსხვერპლთათვის შექმნას ადეკვატური, უსაფრთხო და დაცული საცხოვრებელი ატმოსფერო, ხელი შეუწყოს მათ ფსიქოლოგიურ-სოციალურ რეაბილიტაციას, იურიდიულ და სამედიცინო დახმარებას, ასევე დაცვის ღონისძიებებს.


თავშესაფარი უზრუნველყოფს:

- 24 საათიან მომსახურებას;
- დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის საჭირო უნარების განვითარებას;
- ყველა იმ ღონისძიებას, რომელიც ემსახურება ბენეფიციარის სრულფასოვან განვითარებას;
- არასრულწლოვან ბენეფიციართა ფორმალური და არაფორმალური განათლების მიღების ხელშეწყობას;
- კვებას;
- ფსიქო-სოციალურ, სამედიცინო და სამართლებრივ მომსახურებას;
- ბენეფიციართა მონაცემების კონფიდენციალურ დაცვას.

2013 წლის პერიოდში ფონდის სერვისებით ისარგებლა ტრეფიკინგის 34 მსხვერპლმა:

- ფსიქოლოგიური კონსულტაცია – 5
- სამედიცინო მომსახურება – 2
- სამართლებრივი მომსახურება - 32
- ფინანსური კომპენსაცია – 21

ცხელი ხაზი ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის 2 100 229




## 2. ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურება თავშესაფრებითა და სხვა სერვისებით

ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრების მიზანია:

- ოჯახურ გარემოსთან მიახლოებული პირობების შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს ბენეფიციარის გონებრივ, ემოციურ და ფიზიკურ განვითარებას;
- ბენეფიციართა უფლებებისა და ინტერესების დაცვა;
- ოჯახთან, ნათესავებთან და სხვა ახლობლებთან ბენეფიციარის კონტაქტების შენარჩუნება;
- ბენეფიციართა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ფსიქოლოგიური რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა;
- ბენეფიციართა ნიჭის, უნარისა და პოტენციალის გამოვლენისათვის შესაბამისი გარემოს შექმნა.

2013 წლის პერიოდში თავშესაფრებით ისარგებლა 100 მსხვერპლმა, რომელთაც აგრეთვე გაეწიათ სხვადასხვა სახის კონსულტაციები:

- ფსიქოლოგიური კონსულტაცია – 79
- სამედიცინო მომსახურება – 37
- სამართლებრივი მომსახურება – 29



2013 წელს თბილისის და გორის თავშესაფრებს დაემატა ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარი ქუთაისში.

## ცხელი ხაზი


24/7 ცხელი ხაზი ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის 2 309 903

სსიპ „ალაშინით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაწარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი“

**სხელი ხაზი - ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარებლად**

**309 903**

ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა საკონსულტაციო ცხელი ხაზი



### 3. ხანდაზმულთა პანსიონატები (თბილისი/ქუთაისი)


ხანდაზმულთა პანსიონატების მიზანია უზრუნველყოს

- ა) ოჯახურ გარემოსთან მიახლოებული პირობების შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს ბენეფიციართა გონებრივ, ემოციურ და ფიზიკურ განვითარებასა და სოციალურ რეაბილიტაციას;
- ბ) ბიოლოგიურ ოჯახთან, ნათესავებთან და სხვა ახლობლებთან ბენეფიციარის კონტაქტების შენარჩუნება;
- გ) ბენეფიციართა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, სამედიცინო რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა;
- დ) ბენეფიციართა უფლებებისა და აინტერესების დაცვა;
- ე) ბენეფიციართა ნიჭის, უნარისა და პოტენციალის გამოვლენისათვის გარემოს შექმნა.


2013 წელს პანსიონატებმა მომსახურება გაუწია 215 ბენეფიციარს, მ.შ:

- თბილისის პანსიონატი - 108 ბენეფიციარი;
- ქუთაისის პანსიონატი - 107 ბენეფიციარი.

2013 წლის დეკემბრის მდგომარეობით პანსიონატებში ირიცხებოდა 177 ბენეფიციარი;




საანგარიშო წლის დასაწყისიდან ბენეფიციარებს გაეწიათ სხვადასხვა სახის სამედიცინო მომსახურება. მათ შორის:





**თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატის ბენეფიციართათვის  
განეული სამედიცინო მომსახურება**



- გადაუდებელი სასწრაფო სამედიცინო დახმარება
- ჰოსპიტალიზაცია
- ოპერაციული ჩარევა
- სტომატოლოგია
- ამბულატორული მომსახურება
- სპეციალისტის კონსულტაცია

#### **4. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები**

2013 წლის მონაცემებით, ფონდის დაქვემდებარებაში ფუნქციონირებდა 5 შშმ ბავშვთა /პირთა პანსიონატი:

ა) 2 შშმ ბავშვთა სახლი სენაკსა და კოჯორში;

ბ) 3 შშმ პირთა პანსიონატი დუშეთში, მარტყოფსა და ძევერში.

არსებულ შშმ ბავშვთა/პირთა პანსიონატებში ირიცხებოდა 258 ბენეფიციარი.


##### **4.1. შშმ ბავშვთა სახლები სენაკსა და კოჯორში**

შშმ ბავშვთა სახლების მიზანია:

- ა) ოჯახურ გარემოსთან მიახლოებული პირობების შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს ბენეფიციარის გონებრივ, ემოციურ და ფიზიკურ განვითარებას;
- ბ) ბიოლოგიურ ოჯახთან, ნათესავებთან და სხვა ახლობლებთან ბენეფიციარის კონტაქტების შენარჩუნება;
- გ) ბენეფიციართა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, სამედიცინო, პედაგოგიური რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა;
- დ) საადამიანური პროგრამების ათვისება, ბენეფიციართა სწავლება და პიროვნების აღზრდა საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესების გათვალისწინებით;
- ე) ბენეფიციართა უფლებებისა და ინტერესების დაცვა;
- ვ) ბენეფიციართა ნიჭის, უნარისა და პოტენციალის გამოვლენისათვის გარემოს შექმნა.


**სენაკის შშმ ბავშვთა სახლი** უზრუნველყოფს ბენეფიციართათვის დაცულ და უსაფრთხო გარემოს. პანსიონტში დანერგილია სხვადასხვა სახის სააღმზრდელო პროგრამები, ბენეფიციართა ნიჭის, უნარის და პოტენციალის გამოვლენის მიზნით. ხორციელდება ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის, სამედიცინო, პედაგოგიური და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა.

2013 წლის დეკემბრის მონაცემებით ბავშვთა სახლში 26 ბენეფიციარი ირიცხებოდა. სულ 2013 წელს მომსახურება გაეწია 31 ბენეფიციარს. წლის განმავლობაში ბენეფიციარებს ჩაუტარდათ სხვადასხვა სახის სამედიცინო მომსახურება/კონსულტაცია.



**კოჯრის შშმ ბავშვთა სახლში** 2013 წლის დეკემბრის მონაცემებით იმყოფებოდა 22 აღსაზრდელი. სულ 2013 წელს მომსახურება გაეწია 30 ბენეფიციარს. საანგარიშო წლის განმავლობაში ბენეფიციარები სხვადასხვა სამედიცინო კლინიკებში გადიოდნენ მკურნალობას, ზოგიერთ ბენეფიციარს ჩაუტარდა სხვადასხვა სახის გამოკვლევა (კომპიუტერული, რენტგენული, ექოსკოპიური კვლევები, ანალიზები და სხვ.) ასევე სტომატოლოგიურ მკურნალობა. აღსაზრდელები დაზღვეულნი არიან სადაზღვევო კომპანია „აღფაში“.

კოჯორის შშმ ბავშვთა სახლის ბენეფიციართათვის  
განეული სამედიცინო მომსახურება



- სასწრაფო სამედიცინო დახმარება
- ჰოსპიტალიზაცია
- სტომატოლოგია
- ამბულატორული მომსახურება
- სპეციალისტის კონსულტაცია
- პალიატიური მზრუნველობა

კოჯორი

ამოირიცხა  
4

გარდაიცვალა  
0

სენაკი

ამოირიცხა  
7

გარდაიცვალა  
0

#### 4.2. შშმ პირთა პანსიონატები

პანსიონატები უზრუნველყოფენ ბენეფიციართა სოციალურ რეაბილიტაციას, სადღეღამისო მომსახურებას; სამედიცინო სახის სერვისებს; სოციალური სახის აქტივობებს და ბენეფიციართა საზოგადოებაში ინტეგრაციაზე ზრუნვას, რაც ბენეფიციართა პოტენციალის გამოვლენას და დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის საჭირო უნარების გამოვლენას უწყობს ხელს.


#### მარტყოფის შშმ პირთა პანსიონატი

მარტყოფის შშმ პირთა პანსიონატში 2013 წლის დეკემბრის მონაცემებით ირიცხებოდა 68 ბენეფიციარი. სულ 2013 წელს მომსახურება გაეწია 75 ბენეფიციარს. წლის განმავლობაში მათ ჩაუტარდათ სხვადასხვა სახის სამედიცინო მომსახურება.

სტაციონარული სამედიცინო მომსახურება - 21 ბენეფიციარს, აქედან სომატური პრობლემის გამო 8 ბენეფიციარს.

შეფასდა მათი პირადი დამოუკიდებლობის, თვითმომსახურების, წერის და სხვა უნარები. მიღებული შედეგების საფუძველზე მულტიდისციპლინარულ გუნდთან ერთად შემუშავდა ინდივიდუალური მომსახურების გეგმა. ბენეფიციარებს, ჩაუტარდათ კვალიფიციური კვლევა ეპილეფსიის ცენტრიდან მოყვანილი სპეციალისტების მიერ და დაიდო სათანადო სამკურნალო დანიშნულება–რეკომენდაციები.

მარტყოფის შშმ პანსიონატის ბენეფიციართათვის გაწეული სამედიცინო მომსახურება




ბენეფიციარებს, რომელთაც ეწურებოდათ პირადობის მოწმობის ვადა ან შეეცვალათ მისამართი გაუკეთდათ ახალი მოწმობები.

### დუშეთის შშმ პირთა პანსიონატი

ფილიალის მიზანია ბენეფიციართა სოციალური რეაბილიტაცია, მათთვის სადღეღამისო სრულფასოვანი მომსახურების შექმნა, გართობა-დასვენებისათვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა/განხორციელება. მათი უფლებებისა და ინტერესების დაცვა.


2013 წლის დეკემბრის მონაცემებით პანსიონატში ირიცხებოდა 42 ბენეფიციარი (21-მამაკაცი, 21 ქალი, 24-ეტლიანი ბენეფიციარი). სულ 2013 წელს მომსახურება გაეწია 56 ბენეფიციარს, რომელთაც წლის განმავლობაში საჭიროებების მიხედვით სხვადასხვა სამედიცინო სახის კონსულტაცია/მკურნალობა ჩაუტარდათ.



**ძვერის შშმ პირთა პანსიონატი**

2013 წლის დეკემბრის მონაცემებით პანსიონატში ირიცხება 64 ბენეფიციარი (32–მამაკაცი, 32–ქალი, 1–მწოლიარე, 3–ეტლით მოსიარულე). სულ 2013 წელს მომსახურება გაეწია 66 ბენეფიციარს.

წლის განმავლობაში ბენეფიციარებს ჩაუტარდათ სხვადასხვა სახის სამედიცინო მომსახურება/კონსულტაცია.



## 5. თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლი

ბავშვთა სახლის მიზანია:


- ა) ოჯახურ გარემოსთან მიახლოებული პირობების შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს ბენეფიციარის გონებრივ, ემოციურ და ფიზიკურ განვითარებას;
- ბ) ბიოლოგიურ ოჯახთან, ნათესავებთან და სხვა ახლობლებთან ბენეფიციარის კონტაქტების შენარჩუნების ხელშეწყობა;
- გ) ბენეფიციართა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, სამედიცინო, პედაგოგიური რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა;
- დ) სააღმზრდელო პროგრამების ათვისება, ბენეფიციართა სწავლება დაპიროვნების აღზრდა საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესების გათვალისწინებით;
- ე) ბენეფიციართა უფლებებისა და ინტერესების დაცვა;
- ვ) ბენეფიციართა ნიჭის, უნარისა და პოტენციალის გამოვლენისათვის გარემოს შექმნა;

2013 წლის იანვრიდან მომსახურება გაეწია 95 ბავშვს. მათ შორის ამოირიცხა 38 ბენეფიციარი:





დეკემბრის მონაცემებით ბავშვთა სახლში 61 ბენეფიციარი ირიცხებოდა. მათ შორის 40 ვაჟი და 21 გოგონა. 2013 წლის დეკემბრის მონაცემებით ამბულატორიული მომსახურება გაეწია 106 ბენეფიციარს, ჰოსპიტალიზაცია – 80. დეკემბრის თვეში 12 ბენეფიციარი გადაიდა სტაციონარულ მომსახურებას.



## 6. თბილისის ბავშვთა კრიზისული ცენტრი

კრიზისული ცენტრი უზრუნველყოფს

ა) სადღეღამისო მომსახურებას;

ბ) ბენეფიციარების უზრუნველყოფას ასაკის, სქესისა და სეზონის შესაბამისი ტანისამოსით და პირადი ჰიგიენისათვის აუცილებელი ნივთებით;

გ) საგანმანათლებლო საქმიანობას (არაფორმალური განათლება) – აკადემიური ჩამორჩენის აღმოფხვრასა და ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში ჩართვას, ბენეფიციართათვის ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის გზით, მათი შესაძლებლობების გათვალისწინებით;

დ) რეკრეაციულ აქტივობებს – არტთერაპია, დრამატული წრე, მუსიკალური თერაპია, ექსკურსიები, ინტერაქტიული თამაშები, დისკუსიები, ლიტერატურული კითხვა, როლური თამაშები და სხვა;


ე) პროფესიული უნარების განვითარებას – კომპიუტერის, ენის უნარების, სახელობო წრეებში ჩართვით შესაბამისი უნარების განვითარებას;

ვ) ჯანსაღი ცხოვრების წესის სწავლებასა და ყოფითი უნარების და დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის საჭირო უნარები განვითარებას;

ზ) ყველა იმ ღონისძიებას, რომელიც ემსახურება მათ სრულფასოვან განვითარებას.

2013 წლის განმავლობაში მომსახურება გაეწია 104 არასრულწლოვანს. აქედან 2012 წლიდან ირიცხებოდა 18 ბენეფიციარი, 2013 წელს ჩაირიცხა 23 ბენეფიციარი, ხოლო დანარჩენმა ბენეფიციარებმა მიიღეს ცენტრის არასრული მომსახურება, ვინაიდან ისინი იმყოფებოდნენ ხანმოკლე პერიოდით. 12 ბენეფიციარი დადის საჯარო სკოლაში. ცენტრში ყოველდღიურად ტარდება ზოგადსაგანმანათლებლო და ხელსაქმის გაკვეთილები.

წლის განმავლობაში ბენეფიციარებს გაეწიათ სხვადასხვა სახის სამედიცინო/საკონსულტაციო მომსახურება.



## 7. საზოგადოებრივი/სოციალური აქტივობები

მთელი წლის განმავლობაში ფონდის დაქვემდებარებაში არსებულ ყველა ტიპის დაწესებულებებში სისტემატიურად ტარდებოდა სხვადასხვა სახის რეკრიაციული ღონისძიებები, რაც ბენეფიციართა როგორც ფსიქო-ემოციურ განვითარებას, ისე საზოგადოებაში ინტეგრაციას უწყობს ხელს. აღნიშნულ აქტივობებში ფონდის პარტნიორები არიან როგორც სახელმწიფო, ისე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, კერძო სტრუქტურები, უცხოური ორგანიზაციები, საელჩოები.

- ✓ „ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველოს“ ორგანიზებით განხორციელდა BP-ისა და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტში მისი პარტნიორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული პროექტი „ენერგოეფექტური ღონისძიებები თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლისათვის“. პროექტის თანახმად ჩატარებული ენერგი აუდიტის საფუძველზე განხორციელდა ენერგოდამზოგი ღონისძიებები.
- ✓ პოლონეთის საელჩოს მხარდაჭერით, კოჯრის შშმ ბავშვთა სახლში, მარტყოფის და დუშეთის შშმ პირთა პანსიონატებში ბენეფიციარების ფიზიკური რეაბილიტაციის გაუმჯობესების მიზნით, მოეწყო სენსორულ-რელაქსაციური ოთახები.
- ✓ სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის ფონდის“ მხარდაჭერით კოჯრის შშმ ბავშვთა სახლის ბენეფიციარებისათვის გარემონტდა სამედიცინო ოთახი, შეძენილი იქნა სპორტული ინვენტარი და ჩატარდა სამასაჟე სეანსები. გარდა ამისა, ყოველ ვიზიტს სადღესასწაულო ხასიათის ღონისძიებები ახლდა საჩუქრებით. პროექტი ოთხი თვის განმავლობაში ხორციელდებოდა.
- ✓ ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ თბილისის ბავშვთა კრიზისულ ცენტრში საბავშვო ბიბლიოთეკა გახსნა. პროექტის „წიგნი ყველა ბავშვს“ ფარგლებში ცენტრს 100-მდე დასახელების წიგნი გადაეცა.
- ✓ საზოგადოების ინფორმირებულობის თვალსაზრისით, ყოველწლიურად ტარდება გარბენი ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ. ფონდი ამ გარბენის ერთერთი ორგანიზატორი და მხარდამჭერია.
- ✓ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთან ურთიერთთანამშრომლობის შედეგად ოჯახში ძალადობის საკითხებზე საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში მოსახლეობასთან საინფორმაციო სახის შეხვედრები განხორციელდა.
- ✓ ოჯახში ძალადობის საკითხებზე საგანმანათლებლო მიზნით შეხვედრები/კონფერენციები ეწყობოდა თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში.
- ✓ ფონდის ხელმძღვანელობამ და თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს რეგიონალურ კონფერენციაში „ტრეფიკინგის საფრთხეების შესახებ ცოდნის გაღრმავება აზერბაიჯანში, საქართველოსა და სომხეთში“.
- ✓ “Medical House” –ის მიერ განხორციელდა თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატის ბენეფიციართა სამედიცინო კვლევა.
- ✓ მონაწილეობა მრგვალ მაგიდაში, რომელიც მიუსაფარი ბავშვების პრობლემებს მიემდგნა.

ეს არასრული სია იმ აქტივობებისა რაც სახელმწიფო ფონდში წლის განმავლობაში განხორციელდა. ფილიალებში ყოველთვიურად მცირე თუ მასშტაბური სახის ღონისძიებები იმართებოდა, დაკავშირებული რომელიმე ღირშესანიშნავ თარიღთან თუ დამოუკიდებლად გამართული

ღონისძიება, ექსკურსია, სტუმრობა თეატრსა თუ კინოში, წარმოდგენა ცირკში, ისტორიული თუ დაცული ტერიტორიების მონახულება.

### **თანამშრომლობა არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან**

ფონდი აქტიურად თანამშრომლობს სამოქალაქო სექტორთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. დადებულია თანამშრომლობის მემორანდუმები:

**ოჯახში ძალადობის** პრევენციასა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვასა და დახმარებაზე მემორანდუმი გაფორმდა ორგანიზაციებთან:

- ქალთა საკონსულტაციო ცენტრი „სახლი“
- ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელი
- ასოციაცია „ამაგდარი“
- ქალთა საინფორმაციო ცენტრი
- საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

**ადამიანთ ვაჭრობის** (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვასა და დახმარებაზე მემორანდუმი გაფორმდა ორგანიზაციებთან:

- მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის საქართველოს წარმომადგენლობა
- საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
- ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელი

ფონდის მიერ გაფორმდა ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი ორგანიზაცია „მაკლეინის ასოციაცია ბავშვებისათვის“ და „საქართველოს საპატრიარქოს ფერისცვალების დედათა მონასტერთან არსებული მოწყალების ცენტრთან“, რაც მომსახურე პერსონალის გადამზადებას და კვალიფიციური კადრების დასაქმებას ისახავს მიზნად.

მემორანდუმი გაფორმდა შპს „ტავ ურბან საქართველოს“ წარმომადგენლობასთან, თბილისის საერთაშორისო აეროპორტში საქველმოქმედო ყუთის განთავსების მიზნით.

### **სოციალური ქსელი**

Facebook-ში მოქმედებს ფონდის ორი გვერდი.

- „ოჯახი ძალადობის გარეშე“, რომელიც კონკრეტულად ამ პრობლემის საზოგადოებაში ინფორმირებულობას ემსახურება. აღნიშნული გვერდის საშუალებით, გარდა ინფორმირებულობისა, ხდება მოქალაქეთათვის კონსულტაციების გაწევა. ამ ეტაპზე გვერდს 3000-მდე მეგობარი ჰყავს.

- ATIPFUND - სახელმწიფო ფონდის გვერდი, რომლის მოწონებათა რიცხვმა 5 000 გადააჭარბა და ასახავს ფონდის საქმიანობას.

ფუნქციონირებს საიტზე - [www.atipfund.ge](http://www.atipfund.ge) , სადაც განთავსებულია როგორც საზოგადოებრივი და საკანონმდებლო სიახლეები, ასევე საჯარო ინფორმაცია და სტატისტიკური მონაცემები. მოქალაქეებს მათთვის საინტერესო კითხვის დასმა შეუძლიან საიტზე ასახული ელ. მისამართის საშუალებით [contact@atipfund.ge](mailto:contact@atipfund.ge).

## **მედია**

ფონდის მიერ განხორციელებული აქტივობები/საქმიანობის სფეროები მთელი წლის განმავლობაში შუქდებოდა სხვადასხვა მედია საშუალებებით. ოჯახში ძალადობის და ტრეფიკინგის საკონსულტაციო ცხელი ხაზის სარეკლამო რგოლები გაიშვა, როგორც სატელევიზიო, ისე რადიო ეთერში. (რეკლამები გადიოდა ზაფხულის და ზამთრის პერიოდში).

მოსახლეობის ინფორმირებულობის თვალსაზრისით ფონდის მიერ შედგენილ იქნა და დაიბეჭდა საინფორმაციო სახის ბროშურები ოჯახში ძალადობის და ტრეფიკინგის თემაზე. ასევე, 2014 წლის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა საკონსულტაციო ცხელი ხაზის კალენდარი.

## **გრანტის ფარგლებში**

2012 წლის დეკემბრის ბოლოს, გაეროს ქალთა ორგანიზაციისგან მიღებული გრანტის „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის საქართველოში“ (შემდგომში პროექტი) ფარგლებში, ქალაქ ქუთაისში დაიწყო ორსართულიანი შენობა-ნაგებობის სარეკონსტრუქციო-სარემონტო სამუშაოები, ამავე შენობაში ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფარი) მოწყობის მიზნით.

ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა შესახებ ინფორმაციის აღრიცხვის მიზნით პროექტის ფარგლებში, ასევე დაგეგმილი იყო მონაცემთა ბაზის ერთიანი ელექტრონული სისტემის შექმნა, რაც წარმატებით განხორციელდა ტენდერის შედეგად გამოვლენილი ორგანიზაციის მიერ. დღეის მდგომარეობით პროგრამა მუშაობს სატესტო რეჟიმში.

ქუთაისის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრის სარეკონსტრუქციო-სარემონტო სამუშაოები დასრულდა 2013 წლის ივნისის ბოლოს, დღევანდელი დღის მდგომარეობით ასევე დასრულებულია მისი აღჭურვა საჭირო ავეჯითა და ინვენტარით, მოწყობილია ბიბლიოთეკა, შეყვანილია ყველა საჭირო კომუნიკაცია (წყალი, კანალიზაცია, დენი, გაზი) მზადაა ექსპლოატაციაში გასაშვებად და ბენეფიციარების მისაღებად, გათვლილია 17 ბენეფიციარზე.

2013 წლის ივლისის თვეში აყვანილ იქნენ თავშესაფრის თანამშრომლები, რომელთაც ჩაუტარდათ ორეტაპიანი ტრენინგი სამუშაო სპეციფიკისა და მათი უფლება-მოვალეობების შესახებ.

## 8. სარემონტო და სარეაბილიტაციო სამუშაოები

### 2013 წელს სარემონტო სამუშაოები განხორციელდა შემდეგ ფილიალებში

1. ფილიალ „თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატში“ განხორციელდა საცხოვრებელი კორპუსის გამაგრებითი და სარემონტო სამუშაოები. სახელშეკრულებო თანხა შეადგენდა 142333,00 ლარს, ხოლო ფაქტობრივი შესრულების მიხედვით ასანაზღაურებელმა თანხამ შეადგინა 128587,11 ლარი.
2. ფილიალ „დუშეთის შშმ პანსიონატში“ განხორციელდა ფილიალის ტერიტორიაზე (შესასვლელში) რკინა-ბეტონის საფარის მოწყობა. სახელშეკრულებო თანხა შეადგენდა 6993 ლარს, ხოლო ფაქტობრივი შესრულების მიხედვით ასანაზღაურებელმა თანხამ შეადგინა 5890,5 ლარი.
3. ფილიალ „თბილისის ბავშვთა კრიზისულ ცენტრში“ განხორციელდა საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია. სახელშეკრულებო თანხა შეადგენდა 10499,93 ლარს ხოლო ფაქტობრივი შესრულების მიხედვით ასანაზღაურებელმა თანხამ შეადგინა 9046,74 ლარი.
4. ფილიალ „მარტყოფის შშმ პანსიონატში“ განხორციელდა სასაწყობო/სათავსოს სახურავის კარკასისა და საფარის მონტაჟი და მასთან დაკავშირებული სამუშაოები. სახელშეკრულებო თანხა შეადგენდა 4996,83 ლარს, ხოლო ფაქტობრივი შესრულების მიხედვით ასანაზღაურებელმა თანხამ შეადგინა 4858,46 ლარი.
5. ფილიალ „დუშეთის შშმ პანსიონატში“ განხორციელდა სასაწყობო/სათავსოს სახურავის კარკასისა და საფარის მონტაჟი და მასთან დაკავშირებული სამუშაოები. სახელშეკრულებო თანხამ შეადგინა 18570,57 ლარი, ხოლო ფაქტობრივი შესრულების მიხედვით ასანაზღაურებელმა თანხამ შეადგინა 18029,68 ლარი.
6. ფილიალ „კოჯრის შშმ ბავშვთა სახლში“ განხორციელდა სასაწყობო/სათავსოს სახურავის კარკასისა და საფარის მონტაჟი და მასთან დაკავშირებული სამუშაოები. სახელშეკრულებო თანხა შეადგენდა 15233,82 ლარს, ხოლო ფაქტობრივი შესრულების მიხედვით ასანაზღაურებელმა თანხამ შეადგინა 13531,46 ლარი.

ფილიალი	სახელშეკრულებო თანხა	ანაზღაურებული თანხა
„თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატი“	142333,00 ლარი	128587,11 ლარი
„დუშეთის შშმ პანსიონატი“	6993,00 ლარი	5890,50 ლარი
„თბილისის ბავშვთა კრიზისული ცენტრი“	10499,93 ლარი	9046,74 ლარი
„მარტყოფის შშმ პანსიონატი“	4996,83 ლარი	4858,46 ლარი
„დუშეთის შშმ პანსიონატი“	18570,57 ლარი	18029,68 ლარი
„კოჯრის შშმ ბავშვთა სახლი“	15233,82 ლარი	13531,46 ლარი
	<b>სულ: 198 627,15 ლარი</b>	<b>სულ: 179 943,95 ლარი</b>

## 9. ფილიალების ლიკვიდაცია

2013 წლის განმავლობაში განხორციელდა სსიპ - „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის“ ოთხი ფილიალის ლიკვიდაცია:

- 1) მახინჯაურის ჩვილ ბავშვთა სახლი;
- 2) ბათუმის ბავშვთა სახლი;
- 3) წეროვანის ბავშვთა სახლი;
- 4) რუსთავის დედათა და ბავშვთა თავშესაფარის ლიკვიდაცია.

ლიკვიდაციის პროცესი მიმდინარეობს ორ ფილიალში:

- 1) ეწერის ბავშვთა დღის ცენტრი ;
- 2) ახმეტის ბავშვთა დღის ცენტრი.

დახურვის პროცესშია თელავის ბავშვთა სახლი.

2013 წლის 01 იანვრიდან ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ფილიალში “კოჯრის ბავშვთა სახლში“ ბენეფიციართა ჩარიცხვა არ განხორციელებულა. 2013 წლის 01 აგვისტომდე ირიცხებოდა 19 ბენეფიციარი, ხოლო 2013 წლის 1 აგვისტოს კოჯრის ბავშვთა სახლი დაიხურა და მოხდა ბენეფიციარების გადაყვანა სხვადასხვა ინსტიტუციებში.

კოჯორის ბავშვთა სახლის ბაზაზე 2013 წელს შექმნილი იქნა სოციალური საცხოვრისი. „მიზნობრივი სოციალური პროგრამის „სოციალური სახლის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 16 აგვისტოს N211 დადგენილებისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2013 წლის 03 სექტემბრის N01/79448 წერილის საფუძველზე, ფონდის ფილიალ „კოჯრის ბავშვთა სახლში“ 2013 წლის აგვისტოს თვეში შესახლებულ იქნა სოციალურად დაუცველი 19 ოჯახი.



## 10. შესყიდვები და ფინანსური ანგარიში

2013 წელს სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის“ მიერ განხორციელდა სხვადასხვა სახელმწიფო შესყიდვები, როგორც სახელმწიფო ტენდერების, ასევე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით კერძოდ:

### 1. სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების ფარგლებში:

2013 წლის განმავლობაში სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის“ მიერ გამოცხადდა 176 ტენდერი, საიდანაც სატენდერო ხელშეკრულება გაფორმდა 75 მომწოდებელთან. ასევე მომწოდებლებთან გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გაფორმდა 235 ხელშეკრულება. სულ წლის განმავლობაში 310 ხელშეკრულება.

### 2. გრანტით დაფინანსების ფარგლებში:

2013 წლის განმავლობაში სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის“ მიერ გამოცხადდა 7 ტენდერი, საიდანაც სატენდერო ხელშეკრულება გაფორმდა 2 მომწოდებელთან. ასევე მომწოდებლებთან გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გაფორმდა 10 ხელშეკრულება. სულ წლის განმავლობაში 12 ხელშეკრულება.


### 3. საკუთარი შემოსავლების ფარგლებში

2013 წლის განმავლობაში სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის“ მიერ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით მომწოდებლებთან გაფორმებულ იქნა 142 ხელშეკრულება.

სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის“ 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული 6 941 000 ლარიდან გაწეულ იქნა საკასო ხარჯი 6 507 445,67 ლარის ოდენობით: მ.შ.

- შრომის ანაზღაურება – 3 999 202,11 ლარი;
- კომუნალური ხარჯი – 979 821,90 ლარი;
- კვების ხარჯები – 700 802,28 ლარი;
- მედიკამენტებისა და სამედიცინო მომსახურების ხარჯი – 143 307,12 ლარი;
- პირადი ჰიგიენის, რბილი ინვენტარის და სხვა ხარჯი – 204 696,94 ლარი ;
- სატრანსპორტო საშუალებების შენახვისა და საწვავის ხარჯი – 158 502,24 ლარი;
- შენობა-ნაგებობების სარემონტო სამუშაოებზე და ძირითადი საშუალებების შეძენაზე გაწეული ხარჯი შეადგენს 198 907,38 ლარი;

- ტრეფიკინგის მსხვერპლთა კომპენსაცია 21000 ლარი;
- სხვა ხარჯები 92736,67 ლარი;
- წინა წლის დავალიანების დაფარვა – 8469,03 ლარი.



**თბილისის ტრეფიკინგის მსხვერპლთა თავშესაფარი** – გაწეული საკასო ხარჯი შეადგენს 112 353,29 ლარს. მ.შ.

- შრომისანაზღაურება – 83 410,12 ლარი;
- კომუნალური ხარჯი – 13 200,76 ლარი;
- კვების ხარჯები – 6868,79 ლარი;
- მედიკამენტებისა და სამედიცინომომსახურების ხარჯი – 1107,95 ლარი;
- პირადი ჰიგიენის (პამპერსები), რბილი ინვენტარის და სხვა ხარჯი – 2898,91 ლარი;
- სატრანსპორტო საშუალებების შენახვისა და საწვავის ხარჯი – 703 ლარი;
- მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის, ინვენტარის შეძენაზე, მათ მიმდინარე რემონტისა და მასალების შეძენაზე გაწეული ხარჯი – 1970,75 ლარი;
- და სხვა ხარჯები 2193,01 ლარი.

**ბათუმის ტრეფიკინგის მსხვერპლთა თავშესაფარი** – გაწეული საკასო ხარჯი შეადგენს 90 010,39 ლარს. მ.შ.

- შრომისანაზღაურება – 71 769,39 ლარი;
- კომუნალური ხარჯი – 6781,08 ლარი;
- კვების ხარჯები – 2499,02 ლარი;
- მედიკამენტებისა და სამედიცინომომსახურების ხარჯი – 231,9 ლარი;
- პირადი ჰიგიენის, რბილი ინვენტარის და სხვა ხარჯი – 3766,52 ლარი;
- სატრანსპორტო საშუალებების შენახვისა და საწვავის ხარჯი – 4962,48 ლარი.

**თბილისის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარი** – გაწეული საკასო ხარჯი შეადგენს 167 540,9 ლარს. მ.შ.

- შრომისანაზღაურება – 138208,92 ლარი;
- კომუნალური ხარჯი – 9469,4 ლარი;
- კვების ხარჯები – 9813,81 ლარი;
- სატრანსპორტო საშუალებების შენახვისა და საწვავის ხარჯი – 6293,14 ლარი;
- მედიკამენტებისა და სამედიცინომომსახურების ხარჯი – 255,92 ლარი;
- პირადი ჰიგიენის (პამპერსები), რბილი ინვენტარის და სხვა ხარჯი 3499,71 ლარი.

**გორის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარი** – გაწეული საკასო ხარჯი შეადგენს 119 770,02 ლარს. მ.შ.

- შრომისანაზღაურება – 87 970 ლარი;
- კომუნალური ხარჯი – 11 620,97 ლარი;
- კვების ხარჯები – 8581,46 ლარი;
- პირადი ჰიგიენის, რბილი ინვენტარის და სხვა ხარჯი – 6829,59 ლარი;
- სატრანსპორტო საშუალებების შენახვისა და საწვავის ხარჯი – 4768 ლარი.

**თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატი** – გაწეული საკასო ხარჯი შეადგენს 789 745,44 ლარს. მ.შ.

- შრომისანაზღაურება – 305528,98 ლარი;

- კომუნალური ხარჯი– 175 476,21 ლარი;
- კვების ხარჯები – 98316.82 ლარი;
- მედიკამენტებისა და სამედიცინო მომსახურების ხარჯი – 32 482,12 ლარი;
- პირადი ჰიგიენის (პამპერსები), რბილი ინვენტარის და სხვახარჯი – 31263,70 ლარი;
- სატრანსპორტო საშუალებების შენახვისა და საწვავის ხარჯი– 6360,19 ლარი;
- ჟურნალ–გაზეთების შეძენაზე და კულტურულ–შემეცნებითი ღონისძიებების ჩატარების მიზნით გაწეული ხარჯი – 2809 ლარი;
- პანსიონატის სარგებლობაში არსებული შენობის ავარიულად დაზიანებული ფლიგელის აღდგენა–გამაგრებითი სამუშაოებზე გაწეული ხარჯი –132687,11 ლარი;
- სხვა ხარჯები 4821,31 ლარი.

**ქუთაისის ხანდაზმულთა პანსიონატი** – გაწეული საკასო ხარჯი შეადგენს 505 634,88 ლარს. მ.შ.

- შრომის ანაზღაურება– 274912,08 ლარი;
- კომუნალური ხარჯი – 86 586,89 ლარი;
- კვების ხარჯები– 102 654,86 ლარი;
- მედიკამენტებისა და სამედიცინო მომსახურების ხარჯი – 15 477,75 ლარი;
- პირადი ჰიგიენის, რბილი ინვენტარის და სხვა ხარჯი– 18232,50 ლარი;
- სატრანსპორტო საშუალებების შენახვის და საწვავის ხარჯი –4831,50 ლარი;
- ჟურნალ–გაზეთების შეძენაზე და კულტურულ–შემეცნებითი ღონისძიებების ჩატარების მიზნით გაწეული ხარჯი – 800 ლარი;
- სხვა ხარჯები – 2139,30 ლარი.

**ძვერის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პანსიონატი** – გაწეული საკასო ხარჯი შეადგენს 497 218,71 ლარს. მ.შ.

- შრომის ანაზღაურება – 314 249,58 ლარი;
- კომუნალური ხარჯი – 50 532,68 ლარი;
- კვების ხარჯები – 85 188,28 ლარი;
- მედიკამენტებისა და სამედიცინო მომსახურების ხარჯი – 15 963,15 ლარი;
- პირადი ჰიგიენის, რბილი ინვენტარის და სხვა ხარჯი – 23755,22 ლარი;
- სატრანსპორტო საშუალებების შენახვისა და საწვავის ხარჯი – 3239,30 ლარი;
- სხვა ხარჯი - 4290,50 ლარი.

**მარტყოფის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პანსიონატი** - გაწეული საკასო ხარჯი შეადგენს 560 869,16 ლარს. მ.შ.

- შრომის ანაზღაურება – 339585,55 ლარი;
- კომუნალური ხარჯი – 56 018,52 ლარი;
- კვების ხარჯები – 101 108,37 ლარი;
- მედიკამენტებისა და სამედიცინო მომსახურების ხარჯი – 12 200,98 ლარი;
- პირადი ჰიგიენის, რბილი ინვენტარის და სხვა ხარჯი – 33060,35 ლარი;
- სატრანსპორტო საშუალებების შენახვისა და საწვავის ხარჯი – 9329,27 ლარი;

- პანსიონატის სარგებლობაში არსებული სასაწყობო-სამეურნეო შენობის დაზიანებული სახურავის მოწყობის სამუშაოების შესყიდვაზე გაწეული ხარჯი – 4858,46 ლარი;
- სხვა ხარჯი - 4707,66 ლარი.

**დუშეთის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პანსიონატი** – გაწეული საკასო ხარჯი შეადგენს 473 709,63 ლარს. მ.შ.

- შრომის ანაზღაურება – 257501,20 ლარი;
- კომუნალური ხარჯი – 84 026,18 ლარი;
- კვების ხარჯები – 48 997,87 ლარი;
- მედიკამენტებისა და სამედიცინო მომსახურების ხარჯი – 30 458,15 ლარი;
- სატრანსპორტო საშუალებების შენახვისა და საწვავის ხარჯი – 12807,41 ლარი;
- პირადი ჰიგიენის, რბილი ინვენტარის და სხვა ხარჯი – 11209,30 ლარი;
- ჟურნალ-გაზეთების შესყიდვაზე გაწეული ხარჯი – 542,84 ლარი;
- პანსიონატის სარგებლობაში არსებული სასაწყობო-სათავსო შენობის დაზიანებული სახურავის მოწყობის სამუშაოების შესყიდვაზე გაწეული ხარჯი – 18029,68 ლარი;
- პანსიონატის შესასვლელ ჭიშკართან მისასვლელი გზის ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოების შესყიდვაზე გაწეული ხარჯი – 5890,50 ლარი;
- სხვა ხარჯი – 4246,5 ლარი.

**კოჯრის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა სახლი** – გაწეული საკასო ხარჯი შეადგენს 366 787,16 ლარს. მ.შ.

- შრომის ანაზღაურება – 235009, 65 ლარი;
- კომუნალური ხარჯი – 53 302,6 ლარი;
- პირადი ჰიგიენის, რბილი ინვენტარის და სხვა ხარჯი – 10986,26 ლარი;
- კვების ხარჯები – 34 191,59 ლარი;
- მედიკამენტებისა და სამედიცინო მომსახურების ხარჯი – 7774,99 ლარი;
- სატრანსპორტო საშუალებების შენახვისა და საწვავის ხარჯი – 6839,64 ლარი;
- ბავშვთა სახლის სარგებლობაში არსებული საცხოვრებელი შენობის დაზიანებული ცენტრალური შესასვლელის გადახურვის, უკანა ეზოში მდებარე საბოილერო შენობის სახურავის შეცვლის და ჩამოშლილი კუთხის აღდგენითი სამუშაოების შესყიდვაზე გაწეული ხარჯი – 13 531,46 ლარი;
- შენობის მიმდებარე ტერიტორიის მიმდინარე რემონტზე გაწეული ხარჯი – 3313,47 ლარი;
- სხვა ხარჯი - 1837,50 ლარი .

**სენაკის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა სახლი** – გაწეული საკასო ხარჯი შეადგენს 388 027,19 ლარს. მ.შ.

- შრომის ანაზღაურება – 265509,07 ლარი;
- კომუნალური ხარჯი – 55 609,9 ლარი;
- კვების ხარჯები – 37 089,17 ლარი;
- მედიკამენტებისა და სამედიცინო მომსახურების ხარჯი – 6187,04 ლარი;
- პირადი ჰიგიენის, რბილი ინვენტარის და სხვა ხარჯი - 9611,38 ლარი;

- სატრანსპორტო საშუალებების შენახვისა და საწვავის ხარჯი - 7193,35 ლარი;
- სხვა ხარჯი - 6827,28 ლარი.

**თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლი** – გაწეული საკასო ხარჯი შეადგენს 783 148,13 ლარს. მ.შ.

- შრომის ანაზღაურება - 452240,59 ლარი;
- კომუნალური ხარჯი – 178 356,93 ლარი;
- კვების ხარჯები – 91 198,02 ლარი;
- მედიკამენტებისა და სამედიცინო მომსახურების ხარჯი – 17 334,13 ლარი;
- სატრანსპორტო საშუალებების შენახვისა და საწვავის ხარჯი – 13192, 36 ლარი;
- პირადი ჰიგიენის (პამპერსი), რბილი ინვენტარის და სხვა ხარჯი - 30826,10 ლარი.

**თბილისის ბავშვთა კრიზისული ცენტრი** – გაწეული ხარჯი შეადგენს 307 393,27 ლარს. მ.შ.

- შრომის ანაზღაურება - 171566,21 ლარი;
- კომუნალური ხარჯი – 75 341,3 ლარი;
- კვების ხარჯები – 37 054,81 ლარი;
- მედიკამენტებისა და სამედიცინო მომსახურების ხარჯი – 1409,54 ლარი;
- სატრანსპორტო საშუალებების შენახვისა და საწვავის ხარჯი - 4151 ლარი;
- პირადი ჰიგიენის, რბილი ინვენტარის და სხვა ხარჯი - 7994,65 ლარი;
- კრიზისული ცენტრის სარგებლობაში არსებულ ცენტრალურ შენობაში დაზიანებული საკანალიზაციო სისტემის შეცვლის სამუშაოების შესყიდვაზე გაწეული ხარჯი – 9875,76 ლარი.


**ფონდის ცენტრალური აპარატი** – გაწეული საკასო ხარჯი შეადგენს 864849,70 ლარს. მ.შ.

- შრომის ანაზღაურება - 662535,72 ლარი;
- კომუნალური ხარჯი – 45 061,9 ლარი;
- ტრეფიკინგის მსხვერპლთა კომპენსაცია – 21 000 ლარი;
- საოფისე ხარჯები - 127783,05 ლარი;
- წინა წლის დავალიანების დაფარვა – 8469,03 ლარი.

**საანგარიშო პერიოდში დაიხურა** ფონდის 4 ფილიალი (მახინჯაურის ჩვილ ბავშვთა სახლი, ბათუმის ბავშვთა სახლი, წეროვანის ბავშვთა სახლი, რუსთვის დედათა და ბავშვთა თავშესაფარი). ასევე, 4 ფილიალი განაგრძობდა მუშაობას დახურვისა და სალიკვიდაციო რეჟიმში (ახმეტის ბავშვთა დღის ცენტრი, ეწერის ბავშვთა დღის ცენტრი, თელავის ბავშვთა სახლი, კოჯრის ბავშვთა სახლი). წლის განმავლობაში მათზე გაწეული ხარჯი შეადგენს 480 387,80 ლარს. მ.შ.

- შრომის ანაზღაურება – 339205,06 ლარი;
- კომუნალური ხარჯი – 78436,58 ლარი;
- კვების ხარჯები – 37239,41 ლარი;
- მედიკამენტებისა და სამედიცინო მომსახურების ხარჯი – 2423,50 ლარი;
- სატრანსპორტო საშუალებების შენახვისა და საწვავის ხარჯი – 6887,55 ლარი;
- პირადი ჰიგიენის, რბილი ინვენტარის და სხვა ხარჯი – 10762,75 ლარი;
- სხვა ხარჯი – 5432,95 ლარი.

ფონდის ფილიალებისა და თავშესაფრების მიხედვით გაწეული ხარჯები



- თბილისის ტრეფიკინგის მსხვერპლთა თავშესაფარი
- ბათუმის ტრეფიკინგის მსხვერპლთა თავშესაფარი
- თბილისის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარი
- გორის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარი
- თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატი
- ქუთაისის ხანდაზმულთა პანსიონატი
- ძვერის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პანსიონატი
- მარტყოფის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პანსიონატი
- დუშეთის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პანსიონატი
- კოჯრის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა სახლი
- სენაკის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა სახლი
- თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლი
- თბილისის ბავშვთა კრიზისული ცენტრი
- ფონდის ცენტრალური აპარატი
- 4 დახურული და 4 სალიკვიდაციო რეჯიმში მომუშავე ფილიალზე გაწეული ხარჯი

**ფონდის სპეცსახსრების ანგარიშზე** წლის განმავლობაში ჩაირიცხა 26 911,81 ლარი. ფილიალებისა და სტრუქტურული ერთეულების საჭიროებიდან გამომდინარე, სხვადასხვა საქონლისა და მომსახურების შეძენაზე გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე, აღნიშნული ანგარიშიდან გადაირიცხა 49 010,79 ლარი. 2012 წლის ნაშთის გათვალისწინებით, დღეისათვის სპეცსახსრების ანგარიშზე ნაშთის სახით ირიცხება 73 320,48 ლარი.

**ფონდის თანადაფინანსების ანგარიშზე** საანგარიშო პერიოდში ჩაირიცხა 7934,0 ლარი. მოგებისა და ქონების გადასახადების გადახდის შემდეგ (რაც შეადგენს 2661,04 ლარს), 2012 წლის ნაშთის გათვალისწინებით, ანგარიშზე ნაშთის სახით ირიცხება 7415,67 ლარი.

**მიზნობრივი გრანტის წლიური მოცულობა** შეადგენს 174 350,87 ლარს. საკასო ხარჯმა შეადგინა 163 209,33 ლარი (93,6%). გაწეული ხარჯებიდან შრომის ანაზღაურების სახით შტატგარეშე თანამშრომლებზე გადაირიცხა 50 376,08 ლარი; მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენასა და დამონტაჟებაზე – 4333,85 ლარი; საოფისე ინვენტარის შეძენაზე – 15 005,6 ლარი, მ.შ. საოფისე ავეჯის შეძენაზე – 12 870,0 ლარი; რბილი ინვენტარისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენაზე – 4196,82 ლარი; მივლინებაზე – 120 ლარი. არაფინანსური აქტივების მუხლიდან გაწეული ხარჯებიდან 74 106,35 ლარი მიმართულია სამშენებლო სამუშაოებზე, 1890,0 ლარი – ავეჯის შეძენაზე, 5180,63 ლარი – სხვა დანარჩენ ინვენტარზე. 8000,0 ლარი – პროგრამული უზრუნველყოფის შეძენაზე.



## სასამართლო დავები

- 1) 2010 წლის 1 მარტის #3/122 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ფონდმა 2013 წლის ოქტომბრის თვეში მიმართა სასამართლოს და მოითხოვა მოპასუხე ი/მ გიორგი გურწიშვილის მიმართ პირგასამტეხლოს დაკისრება. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 10 იანვრის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ფონდის სარჩელი და მოპასუხე ი/მ გიორგი გურწიშვილს დაეკისრა პირგასამტეხლოს სახით 5617.7 ლარის გადახდა ფონდის სასარგებლოდ.
- 2) 2010 წლის 1 მარტის #3/122 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ფონდმა 2013 წლის ოქტომბრის თვეში მიმართა სასამართლოს მოპასუხე შპს "დავითი-100"-ის მიმართ პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ფონდის სარჩელი და მოპასუხე შპს "დავითი 100-ს" დაეკისრა პირგასამტეხლოს სახით 8101 ლარის გადახდა.
- 3) მოსარჩელე სსიპ - სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოსა და მოპასუხე ი/მ ზურაბ გოგოლაძეს შორის 2010 წლის 30 აპრილის #3/205 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებიდან გამომდინარე არსებულ სამოქალაქო დავაში, რომელშიც მოსარჩელე ითხოვდა მოპასუხის მიმართ პირგასამტეხლოს დაკისრებას. 2013 წელს სსიპ –ადამიანი ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი განისაზღვრა მოსარჩელის უფლებამონაცვლედ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 31 იანვარს ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ფონდის სარჩელი და მოპასუხე ი/მ ზურაბ გოგოლაძეს დაეკისრა პირგასამტეხლოს სახით 10 519.37 ლარის გადახდა.
- 4) სასამართლო წარმოებაშია ფონდის სარჩელი შპს „ნილის“ მიმართ პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე.